



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
საჯარო აუდიტის დარგში სასწავლო პროგრამების
განხორციელების შესახებ

2019 წელი

ერთი მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოდგენილი გენერალური აუდიტორის, ერეკლე მექვაბიშვილის სახით, მეორე მხრივ, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (შემდგომში - აკადემია), წარმოდგენილი რექტორის ირაკლი შარაბიძის სახით და მესამე მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (შემდგომში - ინსტიტუტი) წარმოდგენილი დირექტორის, გელა წიკლაურის სახით (შემდგომში - მხარეები), ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და დებენ მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსის განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებსა და თანამშრომლებს შესთავაზოს საჯარო აუდიტის დარგში საგანმანათლებლო შესაძლებლობები მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების, გამოცდილების მიღების და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით.


2. მემორანდუმის საგანი

- 2.1. მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, თანამშრომლობა მხარეებს შორის შეიძლება შედგეს შემდეგი ფორმით:
 - 2.1.1. საჯარო აუდიტის მიმართულებაში ტრენინგ-კურსები და სემინარები;
 - 2.1.2. სტუდენტებისა და პერსონალისათვის „საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამის“ განხორციელება, დაწესებული მომსახურების სპეციალური საფასურის მიხედვით;
 - 2.1.3. სასწავლო პრაქტიკა/სტაჟირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სისტემაში;
 - 2.1.4. სტუდენტთა შეხვედრები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სისტემის წარმომადგენლებთან, დარგის ექსპერტებთან;
 - 2.1.5. მხარეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით სხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის მხარეთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სივრცის გამოყენებით.

3. დასკვნითი დებულებები

- 3.1. თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და სფეროები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ცალკე ხელშეკრულებით.
- 3.2. მემორანდუმით გათვალისწინებული კონკრეტული აქტივობების განხორციელება განისაზღვრება დამატებითი წერილობითი შეთანხმებით და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.
- 3.3. მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.
- 3.4. მემორანდუმი ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
- 3.5. მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
- 3.6. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა მემორანდუმის მონაწილე მხარეთათვის 30 დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
- 3.7. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები განახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად.
- 3.8. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური


ერეკლე მეჭერაძე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო
აკადემია


ირაკლი შარაბიძე

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი


გელა წიკლაური